ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № 389

“ 19 ” აგვისტო 2025 წ.

ქ. თბილისი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქონების მართვის სააგენტოსა და შპს „ალმას“ (ს/ნ. 204873388) შორის 2020 წლის 18 ივნისს გაფორმებულ „ფეხით გადასასვლელი ხიდების მშენებლობის მიზნით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული განსაზღვრული უძრავი ქონების (მიწის ნაკვეთების) სარგებლობის უფლებით, აღნაგობის ფორმით გადაცემის შესახებ“ ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე საკითხის შეთანხმების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის - „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 75-ე მუხლის „დ.ზ“ ქვეპუნქტის, 127² მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების, „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 22 დეკემბრის №19-78 დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-13 მუხლის მე-2 პუნქტისა და მე-14 მუხლის მე-2 პუნქტის საფუძველზე, ასევე, „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქონების მართვის სააგენტოსა და შპს „ალმას“ (ს/ნ. 204873388) შორის 2020 წლის 18 ივნისს გაფორმებულ „ფეხით გადასასვლელი ხიდების მშენებლობის მიზნით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული განსაზღვრული უძრავი ქონების (მიწის ნაკვეთების) სარგებლობის უფლებით, აღნაგობის ფორმით გადაცემის შესახებ“ ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე შეთანხმების მიწონების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2025 წლის 14 აგვისტოს №25.1376.1555 განკარგულების გათვალისწინებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. მიეცეს თანხმობა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოსა და შპს „ალმას“ (ს/ნ. 204873388) შორის 2020 წლის 18 ივნისს გაფორმებულ „ფეხით გადასასვლელი ხიდების მშენებლობის მიზნით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული განსაზღვრული უძრავი ქონების (მიწის ნაკვეთების) სარგებლობის უფლებით, აღნაგობის ფორმით გადაცემის შესახებ“ ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანის საკითხზე ამ განკარგულების დანართით გათვალისწინებული შეთანხმების პირობების შესაბამისად.

2. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე ზურაბ აბაშიძე

შეთანხმება

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოსა და შპს „ალმას“ (ს/კ: 204873388) შორის 2020 წლის 18 ივნისს გაფორმებულ „ფეხით გადასასვლელი ხიდების მშენებლობის მიზნით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული განსაზღვრული უძრავი ქონების (მიწის ნაკვეთების) სარგებლობის უფლებით, აღნაგობის ფორმით გადაცემის შესახებ“ ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე

ქ. თბილისი _____ / _____ / 2025 წელი

ერთი მხრივ, **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ქონების მართვის სააგენტო** (შემდგომში: **სააგენტო/მეაღნაგე**), წარმოდგენილი [●] მიერ;

მეორე მხრივ, **შპს „ალმა“** (ს/კ: 204873388) (შემდგომში: **მოაღნაგე**), წარმოდგენილი [●] მიერ.

შემდეგში ერთობლივად წოდებული, როგორც: **მხარეები**,

ვინაიდან, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოსა და შპს „ალმას“ (ს/კ: 204873388) შორის 2020 წლის 18 ივნისს დაიდო ხელშეკრულება „ფეხით გადასასვლელი ხიდების მშენებლობის მიზნით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული განსაზღვრული უძრავი ქონების (მიწის ნაკვეთების) სარგებლობის უფლებით, აღნაგობის ფორმით გადაცემის შესახებ“ (მასში 2023 წლის 28 სექტემბერს, 2024 წლის 27 დეკემბერს და 2025 წლის 25 ივნისს შესული ცვლილებების გათვალისწინებით, შემდგომში: **ხელშეკრულება**);

ვინაიდან, მოაღნაგის 2025 წლის 29 ივლისის №29-07 წერილით (სააგენტოში რეგისტრაცია: №19/01252102137-01) მოთხოვნილია ხელშეკრულებაში რიგი ცვლილების შეტანა;

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის [●] და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს [●] განკარგულებების გათვალისწინებით, ვდებთ წინამდებარე შეთანხმებას (შემდგომში: **შეთანხმება**) შემდეგზე:

1. ხელშეკრულებაში შევიდეს ცვლილება და ხელშეკრულების 5.1.3 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„5.1.3. მოაღნაგე ვალდებულია, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, უზრუნველყოს უძრავ ქონებაზე ან მის მიმდებარედ არსებული ხიდების (ასეთის არსებობის შემთხვევაში) დემონტაჟი, თითოეული და ყველა ნაგებობის მშენებლობის დასრულება ხელშეკრულების დანართი №1-ით გათვალისწინებულ შესაბამის ვადებში. ამასთან მოაღნაგე ვალდებულია უზრუნველყოს აღნიშნული ნაგებობების ექსპლუატაციაში მიღება: ხელშეკრულების დანართი №1-ის მე-11 პუნქტით გათვალისწინებულ უძრავ ქონებაზე - მშენებლობის დასრულებისათვის ხელშეკრულების დანართი №1-ით

განსაზღვრული შესაბამისი ვადის ამოწურვიდან 6 (ექვსი) თვის ვადაში; ხოლო ყველა სხვა უძრავ ქონებაზე - მშენებლობის დასრულებისათვის ხელშეკრულების დანართი №1-ით განსაზღვრული შესაბამისი ვად(ებ)ის ამოწურვიდან 18 (თვრამეტი) თვის ვადაში."

2. ხელშეკრულებაში შევიდეს ცვლილება და ხელშეკრულების დანართი №1 ჩამოყალიბდეს წინამდებარე შეთანხმების დანართი №1-ის შესაბამისად.

3. ხელშეკრულების დანართი №2-ში შევიდეს ცვლილება და ხელშეკრულების №1 დანართის №3, №7 - 10 და №12 - 14 პუნქტებით გათვალისწინებული რიგი შესაბამისი უძრავი ქონების სიტუაციური ნახაზები განისაზღვროს წინამდებარე შეთანხმების დანართი №2-ის შესაბამისად.

4. მოაღნაგე ვალდებულია წინამდებარე შეთანხმების გაფორმებიდან 1 (ერთი) თვის ვადაში უზრუნველყოს სსიპ - საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს უძრავ ნივთებზე უფლებათა რეესტრში ხელშეკრულების დანართი №1-ით განსაზღვრულ უძრავ ქონებაზე შეთანხმების საფუძველზე წარმოშობილი უფლებებისა და მათში შესული ცვლილებების რეგისტრაცია.

5. ყოველგვარი ბუნდოვანების აღმოფხვრის მიზნით, შეთანხმების მე-4 პუნქტით გათვალისწინებული ვალდებულების დარღვევის შემთხვევაში, სააგენტო უფლებამოსილია მოაღნაგეს დააკისროს ხელშეკრულების 6.3 პუნქტით გათვალისწინებული პირგასამტეხლო.

6. მხარეები თანხმდებიან, რომ შეთანხმების გაფორმებიდან 10 (ათი) სამუშაო დღის ვადაში სააგენტო მიმართავს სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროს, ამ შეთანხმებით ხელშეკრულებაში შესული ცვლილებების საფუძველზე, ხელშეკრულების 5.1.1 ქვეპუნქტით გათვალისწინებული აღნაგობის უფლების საფასურის გადაანგარიშების მოთხოვნით. თუ სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს დასკვნით დადგინდება, ამ შეთანხმებით ხელშეკრულებაში შესული ცვლილებების საფუძველზე, ხელშეკრულების 5.1.1 ქვეპუნქტით გათვალისწინებული აღნაგობის უფლების საფასურის გაზრდილი ოდენობა, მოაღნაგე მეაღნაგეს გადაუხდის შესაბამის სხვაობას, ასეთი მოთხოვნის მიღებიდან 10 (ათი) სამუშაო დღის ვადაში. ამასთან, მოაღნაგე წინასწარ უარს აცხადებს ყოველგვარი ანაზღაურების მოთხოვნის უფლებაზე, თუ აღნიშნული დასკვნით დადგინდება აღნაგობის უფლების საფასურის შემცირებული ოდენობა.

7. ყოველგვარი ბუნდოვანების აღმოფხვრის მიზნით, შეთანხმების მე-6 პუნქტის პირობების შესაბამისად, მოაღნაგის მიერ მეაღნაგისათვის გადასახდელი სხვაობის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ამავე პუნქტით განსაზღვრულ ვადაში გადაუხდელობის შემთხვევაში, სააგენტო უფლებამოსილია მოაღნაგეს დააკისროს ხელშეკრულების 6.3 პუნქტით გათვალისწინებული პირგასამტეხლო.

8. ხელშეკრულების დანართი №2-ით გათვალისწინებულ სიტუაციურ ნახაზებში ისეთი ცვლილების შეტანა, რომელიც არ იწვევს/არ მოიცავს უძრავი ქონების ფართობის ან საკადასტრო კოდის შეცვლას, განხორციელდება სააგენტოს

წერილობითი თანხმობით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობასთან შეთანხმებით და აღნიშნული არ საჭიროებს/არ წარმოადგენს ხელშეკრულებაში ცვლილებას.

9. შეთანხმება წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს და განიხილება მასთან ერთად.

10. ხელშეკრულების სხვა პირობები, რომლებიც არ იცვლება შეთანხმებით, რჩება უცვლელი. შეთანხმებისა და ხელშეკრულების პირობებს შორის რაიმე წინააღმდეგობის შემთხვევაში, უპირატესობა ენიჭება შეთანხმებას.

11. შეთანხმებიდან გამომდინარე ან/და მასთან დაკავშირებით წარმოშობილი დავა გადაწყდება საქართველოს საერთო სასამართლოების მიერ, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

12. შეთანხმება შედგენილია 3 (სამი) თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად და ძალაშია მხარეთა მიერ ხელმოწერის დღიდან. შეთანხმების თითო ეგზემპლარი რჩება მხარეებს, ხოლო ერთი წარედგინება სსიპ - საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს.

ხელმოწერები:

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქონების მართვის სააგენტო	შპს „ალმა“ (ს/კ: 204873388)
[●]	[●]
_____	_____

დანართი №1

№	ნაგებობის მდებარეობა (მიწის ნაკვეთების მისამართი)	საკადასტრო კოდი	სიტუაციური ნახაზი	მშენებლობის ნებართვის მიღების ვადა	მშენებლობის დასრულების ვადა	გარე რეკლამის სიგრძე	გარე რეკლამის სიგანე	გარე რეკლამის გვერდის რაოდენობა	გარე რეკლამის სავარაუდო ფართობი
1.	**კახეთის გზატკეცილი, განსაკუთრებულ დავალებათა დეპარტამენტის შენობის მიმდებარედ:** (1)) ქ. თბილისი, ზემო ალექსეევკის დასახლების მიმდებარედ; (2) ქ. თბილისი, კახეთის გზატკეცილის მიმდებარედ; (3) ქ. თბილისი, კახეთის გზატკეცილი; (4) ქ. თბილისი, კახეთის გზატკეცილის მიმდებარედ; (5) ქ. თბილისი, კახეთის გზატკეცილი	01.19.16.003.421/ 01.19.25.001.506	01.19.16.004.003 / 01.19.17.013.072 / 01.19.25.001.156	2026 წლის 31 მარტი	2026 წლის 31 დეკემბერი	36	5	2	360
2.	**აღმაშენებლის ხეივანი, „ჩემი სახლი ლაბორატორიასთან“:** (1) ქ. თბილისი, მირიან მეფის ქუჩა, №1ა; (2) ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, ჰიპერმარკეტ „გუდვილის“ მიმდებარედ; (3) ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი; (4) ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი; (5) ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი	01.15.05.070.106 / 01.10.06.011.174 / 01.10.06.019.002 / 01.10.06.019.003 / 01.13.01.0		2026 წლის 31 მარტი	2026 წლის 31 დეკემბერი	30	7	2	420

№	ნაგებობის მდებარეობა (მიწის ნაკვეთების მისამართი)	საკადასტრო კოდი	სიტუაციური ნახაზი	მშენებლობის ნებართვის მიღების ვადა	მშენებლობის დასრულების ვადა	გარე რეკლამის სიგრძე	გარე რეკლამის სიგანე	გარე რეკლამის გვერდის რაოდენობა	გარე რეკლამის სავარაუდო ფართობი
		01.096							
3.	**აღმაშენებლის ხეივანი, ფერაძის ქუჩის გადაკვეთა (შავსოფელი):** (1) ქ. თბილისი, აღმაშენელის ხეივანი N165-ის მიმდებარედ; (2) ქ. თბილისი, დავით აღმაშენელის ხეივანი N222-ის მიმდებარედ; (3) ქ. თბილისი, ხეივანი დავით აღმაშენელი, მუხათგვერდის გადასახვევის მიმდებარედ (ნაკვეთი 06/505)	01.72.14.013.893 / 01.72.14.014.989	01.72.14.006.505	2025 წლის 31 ივლისი	2026 წლის 01 აპრილი	20	5	2	200
4.	**კახეთის გზატკეცილი, მე-3 მასივთან:** (1) ქ. თბილისი, კახეთის გზატკეცილი N15-ის მიმდებარედ; (2) ქ. თბილისი, კახეთის გზატკეცილი N15-ის მიმდებარედ; (3) ქ. თბილისი, გზატკეცილი კახეთი, და ვარკეთილის III მასივი I კვ კორპ. "ბ"-ს	01.19.21.001.430 / 01.19.21.001.429 / 01.19.20.029.052 / 01.19.21.001.432	01.19.20.030.017	2025 წლის 31 ივლისი	2025 წლის 01 ოქტომბერი	50	5	2	500

№	ნაგებობის მდებარეობა (მიწის ნაკვეთების მისამართი)	საკადასტრო კოდი	სიტუაციური ნახაზი	მშენებლობის ნებართვის მიღების ვადა	მშენებლობის დასრულების ვადა	გარე რეკლამის სიგრძე	გარე რეკლამის სიგანე	გარე რეკლამის გვერდის რაოდენობა	გარე რეკლამის სავარაუდო ფართობი
	მიმდებარედ (ნაკვეთი 29/031); (4) ქ. თბილისი, კახეთის გზატკეცილის დასახლება, მიმდებარედ, (ნაკვეთი 01/101); (5) ქ. თბილისი, კახეთის გზატკეცილსა და ვარკეთილისი III მასივი I კვ-ის მიმდებარედ (ნაკვეთი 30/017)								
5.	**მარნეულის გზატკეცილის დასაწყისი (ფონიჭალა):** (1) ქ. თბილისი, ზემო ფონიჭალის გზატკეცილი; (2) ქ. თბილისი, შავნაბადა; (3) ქ. თბილისი, გზატკეცილი მარნეული, ნაკვეთი 09/011	01.81.03.042.002 / 01.18.12.009.015	01.18.12.009.011	2021 წლის 09 ივლისი	2025 წლის 31 მაისი	20	4	2	160
6.	**შეშელიძის ქუჩა, „გლდანის ხიდებთან“:** (1) ქ. თბილისი, თენგიზ შეშელიძის ქუჩა №18-ის მიმდებარედ; (2) ქ. თბილისი, თენგიზ შეშელიძის ქუჩა №7-ის მიმდებარედ; (3) ქ. თბილისი, თენგიზ შეშელიძის ქუჩა №7ა-ს მიმდებარედ	01.11.04.026.171/ 01.11.04.026.170 / 01.12.01.002.022		2026 წლის 31 მარტი	2026 წლის 31 დეკემბერი	30	7	2	420

№	ნაგებობის მდებარეობა (მიწის ნაკვეთების მისამართი)	საკადასტრო კოდი	სიტუაციური ნახაზი	მშენებლობის ნებართვის მიღების ვადა	მშენებლობის დასრულების ვადა	გარე რეკლამის სიგრძე	გარე რეკლამის სიგანე	გარე რეკლამის გვერდის რაოდენობა	გარე რეკლამის სავარაუდო ფართობი
7.	**კახეთის გზატკეცილი, ე.წ. პენტაგონის მიმდებარედ:** (1) ქ. თბილისი, კახეთის გზატკეცილი, ზემო ალექსეევკის დასახლება; (2) ქ. თბილისი, კახეთის გზატკეცილი, 37-ე კილომეტრზე; (3) ქ. თბილისი, გზატკეცილი კახეთი, (ნაკვეთი 01/156); (4) ქ. თბილისი, გზატკეცილი კახეთი, მიმდებარედ (ნაკვეთი 13/072); (5) ქ. თბილისი, გზატკეცილი კახეთი, (ნაკვეთი 03/027)	01.19.16.003.398 / 01.19.25.001.408	01.19.25.001.156 / 01.19.17.013.072 / 01.19.16.003.027	2021 წლის 09 ივლისი	2025 წლის 31 მაისი	50	5	2	500
8.	**კახეთის გზატკეცილი, ალექსეევკის დასახლების გადასახვევთან:** (1) ქ. თბილისი, გზატკეცილი კახეთი, მე-7 კილომეტრი; (2) ქ. თბილისი, ზემო ალექსეევკას დასახლების მიმდებარედ; (3) ქ. თბილისი, გზატკეცილი კახეთი, მიმდებარედ (ნაკვეთი 13/072);	01.19.24.007.415 / 01.19.16.002.207	01.19.17.013.072 / 01.19.24.008.023 / 01.19.16.002.077	2021 წლის 27 ივნისი	2025 წლის 31 მაისი	50	5	2	500

№	ნაგებობის მდებარეობა (მიწის ნაკვეთების მისამართი)	საკადასტრო კოდი	სიტუაციური ნახაზი	მშენებლობის ნებართვის მიღების ვადა	მშენებლობის დასრულების ვადა	გარე რეკლამის სიგრძე	გარე რეკლამის სიგანე	გარე რეკლამის გვერდის რაოდენობა	გარე რეკლამის სავარაუდო ფართობი
	(4) ქ. თბილისი, გზატკეცილი კახეთი, (ნაკვეთი 08/023); (5) ქ. თბილისი, გზატკეცილი კახეთი, (ნაკვეთი 02/077);								
9.	**კახეთის გზატკეცილი, წალენჯიხის ქუჩის მიმდებარედ:** (1) ქ. თბილისი, კახეთის გზატკეცილისა და წალენჯიხის ქუჩის გადაკვეთის მოპირდაპირედ; (2) ქ. თბილისი, წალენჯიხის ქუჩისა და კახეთის გზატკეცილს შორის; (3) ქ. თბილისი, გზატკეცილი კახეთი, (ნაკვეთი 66/009); (4) ქ. თბილისი, გზატკეცილი კახეთი, (ნაკვეთი 66/019); (5) ქ. თბილისი, გზატკეცილი კახეთი, (ნაკვეთი 66/014)	01.17.09.067.017 / 01.17.09.049.139	01.17.09.066.009 / 01.17.09.066.019 / 01.17.09.066.014	2021 წლის 26 ივნისი	2025 წლის 31 მაისი	50	5	2	500
10.	**აღმაშენებლის ხეივანი, დაცვის პოლიციის შენობის მიმდებარედ:** (1) ქ. თბილისი, ხეივანი დავით აღმაშენებელი,	01.72.14.055.176 / 01.13.01.0	01.10.09.003.001	2022 წლის 26 ივნისი	2025 წლის 30 ივნისი	20	5	2	200

№	ნაგებობის მდებარეობა (მიწის ნაკვეთების მისამართი)	საკადასტრო კოდი	სიტუაციური ნახაზი	მშენებლობის ნებართვის მიღების ვადა	მშენებლობის დასრულების ვადა	გარე რეკლამის სიგრძე	გარე რეკლამის სიგანე	გარე რეკლამის გვერდის რაოდენობა	გარე რეკლამის სავარაუდო ფართობი
	N160-ის მიმდებარედ; (2) ქ. თბილისი, ხეივანი დ. აღმაშენებელი N101, მიმდებარედ; (3) ქ. თბილისი, ხეივანი დავით აღმაშენებელი, თარგი 6 (ნაკვეთი 03/001)	09.074							
11.	**ჭაბუა ამირეჯიბის ავტომაგისტრალი, პირველი ხიდი:** (1) ქ. თბილისი, ქუჩა კოსტავა, N64, (ნაკვეთი 09/044); (2) ქ. თბილისი, პარკი მზიური, ნაკვეთი 05/156		01.14.14.009.044 / 01.14.14.005.156	2022 წლის 27 ივნისი	2024 წლის 29 თებერვალი	25	4	2	200
12.	**კახეთის გზატკეცილი, "სინათლის ქალაქთან":** (1) ქ. თბილისი, კახეთის გზატკეცილი N69-ის მიმდებარედ; (2) ქ. თბილისი, ორხევის დასახლება; (3) ქ. თბილისი, დასახლება ორხევი, (ნაკვეთი 05/005); (4) ქ. თბილისი, გზატკეცილი კახეთი, (ნაკვეთი 01/006); (5) ქ. თბილისი, გზატკეცილი კახეთი,	01.19.22.001.012 / 01.19.18.004.057 / 01.19.18.005.209	01.19.22.001.006 / 01.19.17.013.071 /	2021 წლის 09 ივლისი	2025 წლის 30 ივნისი	50	5	2	500

№	ნაგებობის მდებარეობა (მიწის ნაკვეთების მისამართი)	საკადასტრო კოდი	სიტუაციური ნახაზი	მშენებლობის ნებართვის მიღების ვადა	მშენებლობის დასრულების ვადა	გარე რეკლამის სიგრძე	გარე რეკლამის სიგანე	გარე რეკლამის გვერდის რაოდენობა	გარე რეკლამის სავარაუდო ფართობი
	მიმდებარედ (ნაკვეთი 13/071)								
13.	**აღმაშენებლის ხეივანი, თბილისის საქალაქო სასამართლოს შენობის მიმდებარედ:** (1) ქ. თბილისი, ხეივანი დავით აღმაშენებელი, ფერდობი N26 (ნაკვეთი 22/140); (2) ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, ფერდობი 19; (3) ქ. თბილისი, ხეივანი დავით აღმაშენებელი, თარგი N3 (ნაკვეთი 12/004)	01.13.01.022.225 / 01.72.14.055.179	01.10.09.012.004	2022 წლის 28 ივნისი	2024 წლის 31 დეკემბერი	20	5	2	200
14.	**კახეთის გზატკეცილი, "ისთ ფოინთის" სავაჭრო ცენტრის მიმდებარედ:** (1) ქ. თბილისი, გზატკეცილი კახეთი, ალექსანდრე თვალჭრელიძის ქუჩასა და კახეთის გზატკეცილის კვეთასთან, (ნაკვეთი 09/011); (2) ქ. თბილისი, გზატკეცილი კახეთი, (ნაკვეთი 06/003); (3) ქ. თბილისი, კახეთის გზატკეცილი, ფეხსაცმლის ფაბრიკის მიმდებარედ		01.19.19.009.062 / 01.19.19.006.003 / 01.19.21.003.093	2021 წლის 26 ივნისი	2025 წლის 01 ოქტომბერი	50	5	2	500

№	ნაგებობის მდებარეობა (მიწის ნაკვეთების მისამართი)	საკადასტრო კოდი	სიტუაციური ნახაზი	მშენებლობის ნებართვის მიღების ვადა	მშენებლობის დასრულების ვადა	გარე რეკლამის სიგრძე	გარე რეკლამის სიგანე	გარე რეკლამის გვერდის რაოდენობა	გარე რეკლამის სავარაუდო ფართობი
15.	ლილოს ბაზრობის მიმდებარედ, სავაჭრო კომერციულ ცენტრთან/ყვითელი ზოლები: (1) ქ. თბილისი, ჭირნახულის ქუჩა N4-ის მიმდებარედ; (2) ქ. თბილისი, კახეთის გზატკეცილი N51-ის მიმდებარედ	01.19.14.003.174 / 01.19.13.001.036		2022 წლის 09 ივლისი	2024 წლის 31 დეკემბერი	30	5	2	300

დანართი №2

სიტუაციური ნახაზი



სარგებლობის უფლებით გასაცემი ნაკვეთი

მასშტაბი: 1:500

სიტუაციური ნახაზი



სარგებლობის უფლებით გასაცემი ნაკვეთი

მასშტაბი: 1:500

სიტუაციური ნახაზი



სარგებლობის უფლებით გასაცემი ნაკვეთი

მასშტაბი: 1:500

სიტუაციური ნახაზი



სარგებლობის უფლებით გასაცემი ნაკვეთი

მასშტაბი: 1:500

სიტუაციური ნახაზი



სარგებლობის უფლებით გასაცემი ნაკვეთი

მასშტაბი: 1:500

სიტუაციური ნახაზი



საკადასტრო ნაკვეთის უფლებით მასაცემი ნაკვეთი

მასშტაბი: 1:500

სიტუაციური ნახაზი



სარგებლობის უფლებით გასაცემი ნაკვეთი

მასშტაბი: 1:500

სიტუაციური ნახაზი



საკადასტრო ზონის უფლებით გადასაცემი ნაკვეთი

მასშტაბი: 1:500

სიტუაციური ნახაზი



სარგებლობის უფლებით გადასაცემი ნაკვეთი

მასშტაბი: 1:500

სიტუაციური ნახაზი



საკადასტრო ნაკვეთის უფლებით გასაცემი ნაკვეთი

მასშტაბი: 1:500